მეთექვსმეტე ფურცელი

03.12.01. დიმამ თვლა დიდი ხანია ისწავლა. ამას წინათ მიმატება და გამოკლება ვასწავლეთ. მერე ნატომ აუხსნა რომ ათამდე რომ დაითლის, თუ ერთს მიუმატებს იქნება 11, ასამდე თუ დაითვლის 100+1 უკვე 101 და ასე გადადის ციფრები ერთეულებიდან ათეულებში, ათეულებიდან ასეულებში და ა.შ. დაინტერესებულად უქნევდა დიმიტრი თავს.

ამას წინათ დიმა ეუბნება ნატოს:

“ -დედიკო, რაღაც ვითვლი, ვითვლი და ციფრები არ თავდებაო!...”

არისტოტელე ალბათ საფლავში გადატრიალდა.

10.12.01. დიმა თოვლის პაპას ელოდება. დიდი ხანია ელოდება, მე მგონი ზაფხულიდან. ბევრი სათხოვარი აქვს: რამდენ სათამაშოს რეკლამასაც ნახავს ტელევიზორში, იმდენი ახალი რამ უნდა...

ძალიან რომ არ გაგვიწვალოს თოვლის პაპა, ავუხსენი რომ ერთი ან მაქსიმუმ ორი სათამაშო შეიძლება სთხოვოს. ჰოდა დიმაც გულმოდგინედ ირჩევს. რაღაც ჟურნალი იპოვა, სადაც მისი საყვარელი სათამაშოებია, ფასებიც უწერიათ. სერიოზულად დაუჯდება ხოლმე ამ ჟურნალს, ათვალიერებს, ფასებს ადარებს.

ამას წინათ ვეუბნები, უკვე დროა გადაწყვიტოს, რომელი სათამაშო უნდა და თხოვნა მიწეროს თოვლის პაპას. გამიყვანა გვერდზე (საერთოდ როცა “სერიოზულ” საკითხზე მელაპარაკება, ცდილობს რომ დამიმარტოვოს და ჩუმად, ჩერჩულით მელაპარაკება, ალბათ თოვლის პაპამ რომ არაფერი გაიგოს დროზე ადრე). მეუბნება:

“- მე კი დიდი ხანია ყველაფერი გადაწყვეტილი მაქვსო, მაგრამ ჯერ არ ვამბობ-ო“.

“- რატომ ნეტა?” გავიკვირვე.

“- ახლავე რომ შევატყობინო თოვლის პაპას, დაიწყებს ჩემი ყოფა-ქცევის შემოწმებას. ახალ წლამდე კიდევ დიდი დროა და რამე აუცილებლად შემეშლება, ასე რომ

საჩუქარს ვერ მივიღებ. ამიტომ ორი-სამი დღით ადრე შევატყობინებ ჩემს გადაწყვეტილებას და იქ უკვე როგორმე გავუძლებ რომ არაფერი შემეშალოს.”
დიდი გაძლება დამჭირდა რომ არაფერი შემტყობოდა და სერიოზული სახე შემენარჩუნებინა. ვურჩიე რომ მაინც შეძლებისდაგვარად ადრე შეატყობინოს მოთხოვნები, რომ თოვლის პაპამ საჩუქრების შოვნა მოასწროს.

13.12.01. გაირკვა რას ირჩევდა ასე საგულდაგულოდ დიმა. თურმე სულ ორი სათამაშო უნდოდა. ერთი უფრო მეტად უნდოდა და თანაც უფრო იაფი იყო. მეორე უფრო ძვირი იყო და თანაც უფრო ნაკლებად უნდოდა. ვითომ ყველაფერი ნათელია, მაგრამ ფილოსოფია აქ იწყება. იაფი კი უფრო უნდოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა რომ მაგას ისედაც ვუყიდით ჩვენ თვითონ. ამიტომ თოვლის პაპასათვის ძვირის თხოვნას აპირებდა. მეორეს მხრივ, ეშინოდა თოვლის პაპამ ძვირზე უარი არ მითხრასო და საერთოდ უსაჩუქროდ არ დავრჩეო. ეს ყველაფერი რომ ამიხსნა საგულდაგულოდ, რასაკვირველი საიდუმლოდ და ჩურჩულით, ვურჩიე პაპასთვის ორივე ეთხოვა და პაპა რასაც შეძლებს გააკეთებს მეთქი. ძალიან გაიხარა და დიდი პატივისცემით შემომხედა ასეთი კარგი რჩევისათვის. ეჰ, მე კი ვიცი რა შევთავაზო, მაინც ჩემი საყიდელია...